ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

41 (10028) • 21 oqtomberi • 2013 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა



ექვთიმეობა ლიხაურში

გაზეთი „ალიონი“

17 ოქტომბერს, სოფ. ლიხაურში სახალხო დღესასწაული ექვთიმეობა გაიმართა. პარალელურად სოფლის ცენტრში „ალეგრობა“ გაიმართა, რაც ამ სოფლის ტრადიციას უკავშირდება. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ლიხაურის თემში ხშირად იმართებოდა „ალეგრობა,“ სადაც სოფლისთვის მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება ხდებოდა შემოწირულობებით.

ექვთიმეობის დღესაწაულზე ჩამოვიდნენ საერო და სასულიერო პირები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიება დალოცა შემოქმედელმა ეპისკოპოსმა, მეუფე იოსებმა.

სიტყვებით გამოვიდნენ: ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის დირექტორი რუსლან ურუშაძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ქეთი დუმბაძე, რომელმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიმართვა წაიკითხა.

ღონისძიების ორგანიზატორებს და სტუმრებს მიესალმნენ: პაატა აკაკის ძე სურგულაძე, მეცენატი ზაზა სიორიძე; ბონდო კობაძე; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე.

ღონისძიებამ წმ. ექვთიმე ღვთისკაცის ძეგლის წინ, სცენაზე გადაინაცვლა. აქ სიტყვებით გამოვიდნენ: ქართული სიმღერის დიდი მოამაგე ანზორ ერქომაიშვილი, რუსთაველის თეატრის მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, თეატრმცოდნე გუბაზ მეგრელიძე, მომღერალი ეთერ კაკულია და სხვები. ოზურგეთის ფოლკლორულმა ანსამბლებმა გამართეს კონცერტი.

ღონისძიებაზე ჩამოსულნი იყვნენ ფოთი-სენაკის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე გრიგოლი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე დავით ტაკიძე, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი, და სხვები.

ეთნოგრაფიული კუთხეებიდან უნდა აღინიშნოს შემოქმედის, ნასაკირალის, ცხემლისხიდის, ძიმითის, ვაკიჯვრის, შრომის, ნატანების, ურეკის, კონჭკათის, ჭანიეთის („მოსეს დუქანი“), მთისპირის გამოფენები. შემოქმედელმა ანდრო ვაშალომიძემ ცალკე ადგილობრივი ვაზის ძველი ჯიშების ღვინოების გამოფენა წარმოადგინა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +10+18	მზე, +10+22	მზე, ღრუბელი +8+20	მზე, ღრუბელი +9+17	მზე, ღრუბელი +12+20	მზე, +12+17	მზე, +14+21
21 ოქტომბერი ორშაბათი	22 ოქტომბერი სამშაბათი	23 ოქტომბერი ოთხშაბათი	24 ოქტომბერი ხუთშაბათი	25 ოქტომბერი პარასკევი	26 ოქტომბერი შაბათი	27 ოქტომბერი კვირა

ექვთიმეობა ლიხაურში

საქართველოს პრემიერ მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიმართვას ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით:

„მივესალმები ჩვენი დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის იუბილეს აღნიშვნას მის მშობლიურ სოფელ ლიხაურში.

ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი სამშობლოს წინაშე ფასდაუდებელია. არაერთი ხმამაღალი და მაღალფარდოვანი სიტყვა თქმულა ამ ადამიანზე. თუმცა, რთულია სიტყვით, თუნდაც ხმამაღალით, შეაფასო მის მიერ განვლილი გზა, მისი მოღვაწეობა, სამშობლოსადმი თავდადება და ერთგულება.

იგი არქეოლოგიც იყო, ხელოვნებათა მეცნიერიც,ისტორიკოსიც,ქართული ფილოლოგიის სწავლულიც. მან მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები დაგვიტოვა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის, ფილოლოგიის, რუსთველოლოგიის, ფოლკლორისტიკისა და ლინგვისტიკის სფეროში.

დიდი მეცნიერის გარდა, ექვთიმე თაყაიშვილი კიდევ უფრო დიდი ერისკაცი იყო.

იგი ვერ გატეხა ვერც შიმშილმა, ვერც გაჭირვებამ და ვერც დამცირებამ. მრავალი განსაცდელის მიუხედავად, ჩვენი საგანძური, რომელიც ბოლშევიკებისაგან გადასარჩენად უცხოეთში გაიტანეს, მან შეინარჩუნა და დაუბრუნა სამშობლოს.

დღეს რომ ჩვენს მუზეუმებში ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს სიამაყით შევცქერით, სწორედ მისი თავგანწირვისა და ზნეობრივი გმირობის შედეგია.

ქართველმა ხალხმა ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი უწოდა, ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა.

გასული საუკუნის დასაწყისში. როდესაც ქვეყანას დასჭირდა, როდესაც საქართველო სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ემზადებოდა, დიდი მეცნიერი პოლიტიკურ პროცესებშიც აქტიურად ჩაება. სხვებთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე გახდა.

ექვთიმე თაყაიშვილი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში დაფასებული მოღვაწეა. სწორედ ამის დასტურია ის,რომ 2013 წელი იუნესკომ ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოაცხადა.

აი, სწორედ ასეთი კაცი, მისი ცხოვრების წესი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მისთვის თავგანწირვა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა იქცა ზნეობის მაგალითად თანამედროვე ქართველებისთვის, რომელიც ღრმად მწამს, რომ ასწლეულებს გაუძლებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი
ბიძინა ივანიშვილი.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის სააგიტაციო მასალაზე „ნადირობის სეზონი“ გამოცხადდა

ნინო ბურჯანაძის ოზურგეთის საარჩევნო შტაბი განსაკუთრებით აღშფოთებელია, რომ ამ „ნადირობის“ ორგანიზატორები ადგილობრივი ხელისუფლება და სახელისუფლებო კანდიდატის, მარგველაშვილის ოზურგეთის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელები არიან.

მათი მითებითა და დავალებით, 17 ოქტომბერს, სოფელ ლიხაურის ცენტრში, პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის სარეკლამო ბანერი ჩამოგლიჯეს და დააზიანეს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კი, სხვადასხვა ადგილებში მასიურად მიმდინარეობს ნინო ბურჯანაძის პლაკატების ჩამოგლეჯა ან მათზე მარგველაშვილის სააგიტაციო პლაკატების გადაწებება. უკვე შემჩნეული არიან მათ მიერ დაქირავებული პირები, რომლებიც ჩუმად და ქურდულად მუშაობენ. აღშფოთებულმა მხარდამჭერებმა ცისფერი მანქანით მოძრავი ქალბატონი „მონადირეც“ დააფიქსირეს.

ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როცა ხელისუფლება თავის ერთწლიან ანგარიშში თავის ქებითაა დაკავებული და აცხადებს, რომ „მთავრობა ახორციელებს ყველა აუცლებელ ღონისძიებას სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად“–ო. სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემო კი, როგორც საზოგადოება დარწმუნდა, ისევე შერჩევითი აღმოჩნდა, როგორც აქამდე ხელისუფლებისგან სამართლიანობის აღდგენა.

ნინო ბურჯანაძის ოზურგეთის საარჩევნო შტაბმა, უკვე მიმართა პროკურატურას, საოლქო კომისიას და სხვა შესაბამის უწყებებს და მათგან მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას ამ უხეშ დარღვევებთან დაკავშირებით.

სტიქია დასავლეთ საქართველოში

გასულ შაბათ-კვირას დასავლეთ საქართველოში სტიქია კვლავ მძვინვარდებდა. ძლიერ ქარს, კოკისპირულ წვიმას მდინარეების ადიდება მოჰყვა. 5-5-ბალიანი ღელვა აღინიშნა შავი ზღვის ქობულეთის და ბათუმის სანაპიროებთან. ქ. ბათუმის ახალ უბანში ზღვა სანაპიროზე გადმოვიდა და ქალაქის ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ქ. ფოთის მისადგომებთან ზღვის ტალღებმა სატვირთო გემი მეჩეთზე გარიყა. მსხვეპლი არ არის.

სტიქია მეტ-ნაკლებად გურიის რეგიონსაც შეეხო. დაიტბორა ქ. ოზურგეთის და სხვა დასახლებული პუნქტების დაბალი ადგილები.

როგორც სინოპტიკოსები გვატყობინებენ, დღეიდან გამოიდარებს.

წელს განსაკუთრებული მოსავალი მივიღე

ნუგზარ ასათიანი

ჭანიეთელი ნიკოლოზ (ზურაბ) ურუშაძე გასული რამდენიმე ომის მომსწრე და მონაწილეა. II მსოფლიო ომის დროს პატარა იყო. შემდეგ შუა ასაკში მყოფს, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ყარაბახში მოუწია წასვლა. მისი „ზილი“ ისეთ ცეცხლში მოხვდა, რომ ცოცხალმა ძლივს დააღწია თავი.

აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, იგი ოზურგეთის ბატალიონში მსახურობდა. განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს ბატალიონის მეთაურს, ირაკლი მუჯირს და შტაბის უფროსს ბერდია ცეცხლაძეს. მას აქ თავისი „ურალით“ საბრძოლო მასალები გადაჰქონდა. ერთ-ერთი დაბომბვის დროს მძიმე კანტუზია მიიღო და რთული ოპერაციის გაკეთება მოუწია.

2008 წელს, უკვე ასაკში მყოფმა გორში თავის თანამებრძოლებთან ამოყო თავი. მართალია ისინი საბრძოლო ოპერაციებში არ ჩაბმულან, მაგრამ მზად იყვნენ მტერს შებრძოლებოდნენ.

ზურაბ ურუშაძის თქმით, ისინი ქალაქში დარჩენილ მოსახლეობასთან ერთად სხვადასხვა დავალებას ასრულებდნენ. მას შემდეგ, რაც დაჭრილები საავადმყოფოში მოათავსეს და ტერიტორია დატოვეს, რუსული ჭურვი საავადმყოფოსთან ჩამოვარდა. საბედნიეროდ, არ აფეთქდა და ჩვენმა „მესანგრეებმა“ სწრაფად გაუვნებელყვეს.

–რუსები გორში რომ შემოვიდნენ, მე-3 საშუალო სკოლის შენობას ვიყავით ამოფარებულები. დავინახეთ, როგორ ჩაცხრილეს რუსმა ტანკისტებმა ახალგაზრდა, რომელიც სურათებს იღებდა. მასთან ერთად ორი რეზერვისტიც დაიღუპა...

ზურაბი თავზე მძიმე ნაიარევს გვიჩვენებს და ამბობს, რომ მიუხედავად ასაკისა, თუ საჭირო გახდა, სამშობლოს იარაღით დაიცავს.

ეს გრძელი შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ ერთგვარი წარმოდგენა შეგქმნოდათ ამ კაცზე. ლამაზი ოჯახის პატრონს, საუკეთესოდ აქვს მოვლილი კარ-მიდამო. 500 ძირი თხილი აქვს გაშენებული და წელს 3 ტონამდე მოსავალი მოიწვია.

ამ წერილის მიზეზი, მაინც სიმინდია.

–ადამიანი უმადური უნდა იყო, რაღაცნაირად მადლობა არ უთხრა ბიძინა ივანიშვილს. 4000 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი დამიხნეს, სასუქი უფასოდ მივიღე. თოხი ჩემმა მარჯვენამ მოუსვა, აბა ყველაფერს სხვა ხომ არ გაგვიკეთებდა, 3 ტონაზე მეტი მოსავალი მივიღე. მიყვარს ეს კაცი. დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მოწმე ვარ თავის თანასოფლელებთან ერთად როგორ მუშაობდა ოზურგეთში. მინდა იმ უმადურებს შევახსენო, რომლებიც მზად არიან ყველა დახმარება მიიღონ ახალი ხელისუფლებისაგან და კვლავ ძველს ეჭიდებიან, უმადურობა ცუდია. აბა ამ ტაროებს შეხედე –გვეუბნება ზურაბი, ამიტომ მინდა ქვეყნის მეთაურს მადლობა ვუთხრა.

„არ არსებობს იმაზე დიდი პატივი, ვიდრე იყო შენი ქალაქის ერთგული“

მაია სალუქვაძე

საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მოძზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისთვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით არიან აღჭურვილნი, ჩვენში ცოტაა.

დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ხელმძღვანელობა, სწორედ და ტრადიციულად მართო ოჯახი, შემდეგ კოლექტივი, რომელიც დიდ ოჯახად უნდა ჩაითვალოს.

სწორედ ასეთი პიროვნებაა ბ-ნი ვოვა სალუქვაძე. ღირსეული, სუფთა წასულის კაცი, კარგი ოჯახის შვილი და თავკაცი. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა მასზე დაკისრებულ, საპასუხისმგებლო თანამდებობას.

დაიბადა ქ. ოზურგეთში, ინტელიგენტის ოჯახში. წარმატებით დაამთავრა №4 საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა ქ. ვლადიკავკაზში, მიიღო უმაღლესი განათლება. შემდეგ დაბრუნდა თავის ქალაქში და აქტიურად ჩაება ქალაქის ცხოვრებაში. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ორი წელია „ოზურგეთის სერვისცენტრს“ ხელმძღვანელობს. დღიდან დანიშვნისა, დაიწყო ქალაქის დასუფთავებაზე ზრუნვა.

—რთული ხომ აღმოჩნდა თქვენთვის ამ თანამდებობის დაკავება?

—რთული არ აღმოჩნდა, მაგრამ საკმაოდ მასშტაბური პასუხისმგებლობა მოჰყვება ამ თანამდებობას. შეხვედრები, სამუშაო რეჟიმი, რომელსაც გეგმავ, ანაწილებ დავალებას და აკონტროლებ შესრულებულ სამუშაოს. ეს ყველაფერი შრომატევადია.

—ბატონო ვოვა, ყველას უნდა სუფთა ქალაქი...

—რა თქმა უნდა, ყველას უნდა სუფთა ქალაქი, მათ შორის მეც. ეს ხომ ჩემი მისიაა.

—ქალაქში ყველა ბუნკერი სწორად შერჩეულ ადგილზეა განლაგებული?

—დღეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 485 ბუნკერია განლაგებული. მეტნაკლებად, როგორც ქალაქის, ისე სოფლის ტერიტორიაზე გასაშუალოებულია განლაგება. ვემსახურებით 12 სოფელს. ნატანების და დაბა ურეკის ტერიტორიაზე 117 ბუნკერია გამოყოფილი. ძირითადად ისინი ხალხმრავალ ადგილებშია განლაგებული, იქ, სადაც ნაგვისა და ნარჩენის მაქსიმალურად თვამოყრა ხდება. ამ საკითხებს ვაანალიზებ და თუ სადმე სიმცირეა, გადატვირთვაა, ან ნაკლებად მუშაობს ბუნკერები, ვცდილობ, დავაბალანსო აღნიშნული სიტუაცია.

—ხომ არ მიგაჩნიათ საჭიროდ, თვეში ერთხელ ყველა ორგანიზაციამ, სკოლამ, თუნდაც უბნებმა თავიანთ მიმდებარე ტერიტორიაზე მოაწყონ „დასუფთავების დღე“...

—თვეში ერთხელ კი არა, მომხრე ვარ ყოველ კვირა დღეს მოეწყოს „დასუფთავების დღე,“ცუდი და ნეგატიური ამაში არაფერია. სწორედ მაშინ მიხვდება თითოეული ოზურგეთელი, თუ რა რთული და საპატივცემულო მისია აკისრია ჩვენს მეეზოვეებს.

—რას მოითხოვთ მოსახლეობისაგან?

—პირველ რიგში ვითხოვთ გვერდში დგომას, ხელშეწყობას, მხარდაჭერას. თუ ეს ასე არ მოხდება, ჩვენ, დაკისრებული მოვალეობის შესრულება გაგვიჭირდება. მოსახლეობასთან ერთად ჩვენ შევძლებთ ქალაქი იყოს სუფთა და მოწესრიგებული, ნაგავი უნდა ჩაიყაროს ურნაში და არა ურნის გვერდით.

—ქალაქი იღვიძებს დასუფთავების თანამშრომლების ფუსფუსით. ხომ არ დაასახელებდით წარმატებულ მეეზოვეებს?

—გვყავს წარმატებული მეეზოვეები, რომლებიც თავიანთ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ისინი ჩვენი ძველი თანამშრომლები არიან. ესენია: შურა კოტოიანი —რომელიც გმირთა მოედანს ასუფთავებს; თამარ გრიგალაშვილი —26 მაისის ქუჩას ემსახურება; ნათელა ხაზარბეგაშვილი —ანტონ ნაკაშიძისა და ნინოშვილის ქუჩის აღმართს ემსახურება...ისინი თავიანთ მოვალეობას პირნათალად ასრულებენ. მადლობას ვუხდი ამ ადამიანებს ერთგულებისთვის. ასევე ქ-ნ ნინო სანიკიძეს ოზურგეთის მოსახლეობის სახელით დიდ მადლობას მოვახსენებთ...

—შემოქმედელი ეპისკოპოსის რეზიდენციის მოპირდაპირედ რთული მდგომარეობა იყო...

—9 აპრილის ქუჩის დასახელებულ მონაკვეთზე სანიაღვრე არხი ფაქტიურად არ არსებობდა, ამოვსებული იყო. აქ სერიოზული სამუშაოები ჩატრდა. აღდგა სანიაღვრე არხი, გაკეთდა ცხაურები. დავასრულეთ ქვაფენილის მოპირკეთებაც. განვაახლეთ პარკში სკამები. ასეთი სამუშაოები ბევრ ადგილზე ჩავატარეთ. ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე და ჯორჯიაშვილის ქუჩის დასაწყისში აღვადგინეთ სანიაღვრე არხები; მიმდინარეობს იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე გამავალი არხის რეაბილიტაცია; ვაგრძელებთ თავისუფლების მოედანზე ასეთ სამუშაოებს; დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, მდ. დვაბზუას განშტოებასთან 200 მეტრიანი სანიაღვრე არხი გაკეთდა. მოკლე დროში უნდა მოხდეს სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია გმირთა მოედნის, დავით აღმაშენებლისა და ყოფილი საკონსერვო ქარხნის ტერიტორიამდე.

—ხომ არ იგემება ასეთივე სამუშაოების შესრულება თაყაიშვილის და კლდიაშვილის ქუჩებზე?

—თაყაიშვილის ქუჩაზე ჩასატარებელი სამუშაოების დაპროექტება მიმდინარეობს, რომელსაც ინფრასტრუქტურის სამინისტრო მიზნობრივად დააფინანსებს, ხოლო კლდიაშვილის ქუჩაზე არხის აღდგენა მომავალ წელს იგეგმება.

ახლა ვიხილავთ საკითხს ქ. ოზურგეთის ინფრასტრუქტურის სამსახურთან ერთად 31 000 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხის აღდგენის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. დაბა ურეკში იგეგმება 3700 მეტრიანი მონაკვეთის გაკეთება. ყველა ქუჩაზე დეტალურად იქნება არხების აღდგენის სამუშაოების საჭიროებს შესწავლილი, რათა მინიმუმადე დავიდეს საშიშროება წყალდიდობის დროს.

—როგორია თქვენი სამსახური შიგნით?

—დილა თათბირით იწყება. მაქვს განყოფილების გამგეებთან შეხვედრები. ვანაწილებ დავალებებს. შუადღეზე ვაკონტროლებ შესრულებული სამუშაოს ხარისხს და მოცულობას. შვიდი განყოფილებიდან ყველას აქვს გაწერილი წლის, თითო თვის და თვის თითოეული დღის გრაფიკი. ასეთი გრაფიკი არ აქვს დასუფთავების სამსახურს, რომელსაც ტიპიური სამუშაო აქვს.

—ხომ არ თვლით, რომ თქვენ სამსახურში საშტატო ერთეული გადატვირთულია?

—ცალსახად რომ შეხედო აღნიშნულ თემას, შეიძლება ითქვას, გადატვირთული საშტატო ერთეული გვაქვს. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ შევქმენით კეთილმოწყობის განყოფილება, დავიმატეთ 11 საშტატო ერთეული. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მუშახელზე. ეს სტრატეგია იქნება შენარჩუნებული იმ ადამიანებზე, ვინც საქმეს გააკეთებს.

მომავალი წლიდან დღის წესრიგში დავაყენებთ საკითხს, რომ ადმინისტრაციულმა ერთეულებმა და განყოფილებებმა ანაზღაურება მიიღონ შესრულებული სამუშაოს მიხედვით. რამდენ თანამშრომელზე იქნება გადანაწილებული, ეს უკვე მენეჯერის საქმეა.

—ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ?

—მაქვს ლამაზი, ქართული, ტრადიციული ოჯახი. მყავს ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე —მაია თოიძე, ამჟამად დიასახლისი. მყავს ქალ-ვაჟი. ქალიშვილი სალომე —დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი, ეკონომიკის განხრით. ვაჟი სოსო —№4 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეა. ემზადება ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად. ვამაყობ ჩემი ოჯახით.

—ქვეყანა სადაც იცხოვრებდი...

—მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში.

—ადამიანი, რომელმაც დიდი სთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

—ასეთი ადამიანი იყო ანდრო ერქომაიშვილი, თავისი წესებით, პრინციპებით, სიმკაცრით, ურთიერთობებით, საქმის პასუხისმგებლობით, თავისი ღირსებითა და ვალდებულებებით. იგი ფიზიკას მასწავლიდა. მან არა მარტო ფიზიკა მასწავლა, არამედ ყველა ის თვისება, რაც მას გააჩნდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს...

—დაასრულეთ ფრაზა „მჯერა რომ“...

—მჯერა, რომ ხვალინდელი ოზურგეთი, მთლიანად საქართველო ლამაზი იქნება, როგორიც გვეკუთვნის თითოეულ ჩვენგან, თითოეულ ქართველს.

—რას უსურვებდით ოზურგეთის მოსახლეობას?

—ვუსურვებდი, რომ თითოეულმა მაქსიმუმი გააკეთოს ოზურგეთის კეთილდღეობის ასამაღლებლად. თითოეულმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ოზურგეთი იყოს ლამაზი, მოწესრიგებული, თავისი სახელის და ტრადიციების შესაბამისად.

***

თანამედროვე ქალაქის ქუჩები, ტროტუარები, ბაღები და სკვერები, სანიტარული წესრიგით უნდა გამოირჩეოდეს.

ყველას უნდა სუფთა ქალაქი?—ბუნებრივია ამ შეკითხვაზე ერთი პასუხი არსებობს?— გვინდა ვცხოვრობდეთ სუფთა ქალაქში, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში. გვინდა, მაგრამ, რატომღაც ველოდებით, როდის მოგვართმევენ ყველაფერ ამას! ოზურგეთში ნაწილი მოსახლეობისა მიიჩნევს, რომ ქალაქის სისუფთავეზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლება, ნაწილი კი —ადგილობრივი ხელისუფლება და თვით მოქალაქეებმაც უნდა იზრუნონ ქალაქზე. ნაგავი უნდა ჩააგდოთ ურნაში!

მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ პარლამენტში მშობლიურ სკოლას უმასპინძლა

27 სექტემბერს ოზურგეთის ნოდარ დუმბაძის სახელობის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები საქართველოს პარლამენტის წევრის,ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის **ზვიად კვაჭანტირაძის** ხელდასხმით ქუთაისში მდებარე საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტს ეწვივნენ. მოსწავლეებმა პარლამენტის შენობა დაათვალიერეს და მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძესთან ერთად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს **გიორგი ცაგარეიშვილს** შეხვდნენ.შეხვედრაზე ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლასა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტს შორის ურთიერშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად,გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად გარემოს დაცვით და ეკოლოგიურ პროექტებს განახორციელებს,რაც ითვალისწინებს:გამწვანების აქციებს,ეკოლოგიური გარემოს დაცვა-შენარჩუნებას და მწვანე ნარგავების მოვლას,გარემოს დაცვის სფეროში კონსულტაციების,შეხვედრების,სემინარების და ერთობლივ სასწავლო პროგრამების ჩატარებას,ერთობლივ შეხვედრებს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

გიორგი ცაგარეიშვილმა სკოლის მოსწავლეებთან გარემოს დაცვის კუთხით არსებულ ვითარებაზე და ახალი ხელისუფლების მიერ ბუნების დაცვის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრა.მისი განცხადებით,კომიტეტი მიესალმება სკოლასთან მემორანდუმის გაფორმებას და მან აღნიშნული თანამშრომლობის სხვა სკოლებთან გაგრძელების სურვილიც გამოთქვა.

საქართველოს პარლამენტის წევრი,ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი,საგარეო ურთიერთიბათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე,პოლიტიკური პარტია ,,ქართული ოცნების'' პოლიტსაბჭოს წევრი ზვიად კვაჭანტირაძე მე-2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია და მან მშობლიურ სკოლას განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით უმასპინძლა.

***

მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს პრესსამსახური პარლამენტიდან დაბრუნებულ მეორე საჯარო სკოლის წარმომადგენლებს შეხვდა და შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა:

ნინო კუკულაძე (დეპუტატის ბიუროს პრესსამსახურის უფროსი)-**ქალბატონო მარინა,რა მოლოდინით გაემგზავრეთ საქართველოს პარლამენტში და როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდით?**

მარინა ჯაფარიძე(მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი)-მე მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ზვიად კვაჭანტირაძეს იმ დახვედრისათვის,იმ სიკეთისათვის და იმ ყურადღებისთვის,რაც მან ჩვენს მიმართ გამოიჩინა.მე ბედნიერი ვარ იმით,რომ ჩვენს მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ,შანსი მიეცათ,რომ შეხვედროდნენ პარლამენტარებს,დაეთვალიერებინათ პარლამენტის შენობა და ბოლოს,გაეფორმებინათ ის მემორანდუმი,რომელიც ჩვენს სკოლასა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს შორის გაფორმდა.ეს ჩვენ ბევრს გვავალდებულებს.ჩვენ ასევე შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით გარემოს დაცვის მინისტრს ქალბატონ ხათუნა გოგოლაძეს და საკმაოდ შთამბეჭდავი, გულთბილი,შინაურული და ამავე დროს საქმიანი საუბარი გაიმართა ჩვენს შორის.ბავშვებმა საინტერესო შეკითხვები დაუსვეს და მანაც ამომწურავად უპასუხა.მე მართალი გითხრათ,ამდენს არ ველოდი,ეს იყო სრულიად განსხვავებული შეხვედრა, გამორჩეული შეხვედრა და მე დავინახე,რომ მათ აინტერესებთ ახალგაზრდა თაობის

გვ-4

გინდვეთ საბანკეტო დარბაზი „ოზურგეთი“

თუ თქვენ გსურთ აღნიშნოთ ქორწილი, დაბადების დღე და სხვა ღონისძიებები, ქ. ოზურგეთში, გურამიშვილის ქუჩაზე ენვიეთ თანამედროვე დიზაინის საბანკეტო დარბაზს „ოზურგეთს!“

მომსახურება საუკეთესო, ფასები ხელმისაწვდომი!

მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ პარლამენტში მშობლიურ სკოლას უმასპინძლა

აზრი, ისინი ამ ბავშვებს ისე უყურებდნენ, როგორც სრულფასოვან მოქალაქეებს .მე უღრმესი მადლობელი ვარ ბატონი ზვიადის იმიტომ, რომ მისი საშუალებით მოგვეცა ასეთი უნიკალური შესაძლებლობა შევხვედროდით საინტერესო ადამიანებს.

—ხომ არ ფიქრობთ,რომ ასეთი ვიზიტები სწავლის ხარისხზეც იმოქმედებს?

—რა თქმა უნდა, იმოქმედებს, იმიტომ, რომ მოსწავლეებს მეტი სტიმული უჩნდებათ, მეტი მოტივაცია უჩნდებათ, რომ უკეთ ისწავლონ, გაცილებით მეტად მოინდომონ.იცით ერთი მოწაფის მშობელმა ფეისბუქის გვერდზე რა მომწერა?მე მადლობელი ვარ იმის გამოო, რომ ჩემმა შვილმა თქვაო :მე ისე ვისწავლო,რომ აუცილებლად პარლამენტში მოვხვდეო. თუნდაც ერთი მოსწავლის ასეთი სიტყვები,ეს უკვე მოტივი და დიდი სტიმულია.

—როგორია მოზარდის თვალით დანახული საქართველოს პარლამენტი და რა მოგცათ თქვენ პარლამენტში ყოფნის ერთმა დღემ?

თამარ ხუჭუა(მე-2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე)—მე პირადად ის გამიხარდა, რომ პარლამენტში დაინტერესდნენ ახალგაზრდობის ჩართულობით.ჩვენ ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდით, რომლებმაც გაგვაცნეს თავიანთი გეგმები და მოგვცეს საშუალება ჩვენი აზრი გამოგვეთქვა.ჩვენ დავსვით შეკითხვები და სასურველი პასუხებიც მოვისმინეთ.მათ .

ლევან სიხარულიძე (მე-2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე)—მე მაინტერესებდა ბოლო ორი წლის განმავლობაში გარემოს დაცვის კუთხით რა ღონისძიებები ჰქონდა გატარებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ამ კითხვაზე მინისტრისგან პასუხიც მივიღე.სანამ წავიდოდი მეგონა ფორმალური ხასიათის იქნებოდა ეს შეხვედრა.ჩვენთვის შეიძლება დროც არ დაეთმო პარლამენტარებს, მაგრამ დავინახე,რომ ისინი ჩვენ როგორც ბავშვებს ისე არ გვიყურებდნენ. —

—ქალბატონო ლიანა, როგორც ვიცი ამ შეხვედრის ინიციატორი თქვენ ბრძანდებით .სწორედ თქვენ დაუკავშირდით ბატონ ზვიადს და თქვენი გეგმები გააცანით.გვიამბეთ როგორ მოხდა ეს ყველაფერი?

ლიანა იმედაშვილი (მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგი)—ჩვენ წავიყვანეთ პარლამენტში ისეთი ბავშვები,რომლებიც პროექტებში გამარჯვებულია და სკოლის ღირსებას იცავენ. პარლამენტში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. მე სხვანაირად ვერც ვიფიქრებდი იმიტომ,რომ მე ზვიადს ვიცნობ ბავშვობიდანვე. ზვიადი არის ძალიან მაღალი ინტელექტის, გაწონასწორებული, კულტურული, განსწავლული..თქვენ სწორად შენიშნეთ, მე დავუკავშირდი მას და ვთხოვე ეს ვიზიტი შემდგარიყო, რასაკვირველია, დამთანხმდა. მე ეს გამიზნულად გავაკეთე, რამეთუ ვინ ,ვინ და მე კარგად ვიცნობ მის ხასიათს, მის პიროვნულ თვისებებს და მინდოდა ეს მომავალ თაობას, ჩემს მოსწავლეებსაც დაენახათ უნდა.

ის, რაც მას სხვებისგან გამოარჩევს და ჩვენ შესასვლელი კარებიდან ვიგრძენით ზვიადის წონა პარლამენტში .ეს ისეთი თვალშისაცემი იყო, რომ ბავშვები აღფრთოვანებული დარჩნენ. კარებში მდგომი პოლიციელებიდან დაწყებული ყველა თბილად მოგვექცა. ეს უთუოდ ზვიადის დამსახურებაა და იცით, ჩემმა მოწაფეებმა რა დამაბარეს? თქვენ ალბათ, ლიანა მასწავლებელო, ინტერვიუს მისცემთო და გადაეცით ჩვენი მადლიერება ბატონი ზვიადის მიმართო.ეს უკვე დიდი გამარჯვებაა. სიტყვებს ვერ ვპოულობ რა გითხრათ,ჩვენ არაჩვეულებრივად ნასიამოვნები დავბრუნდით ქუთაისიდან.

იცით რას მინდა ხაზი გავუსვა? ზვიად კვაჭანტირაძეს აქვს საოცარი თვისება, ეს არის ერთგულება და ადამიანში მცირედის შემჩნევა და დაფასება. იქ მომუშავე გოგონამ მითხრა: მე აქ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში სტაჟიორად ვმუშაობდი და ბატონმა ზვიადმა დავალება მომცა, მოეწონა ჩემი შესრულებული და სამსახურში ამიყვანაო. ეს არ არის იოლი საქმე. დღეს სამსახურში მიღება,მით უფრო, პარლამენტში კარგად მოგეხსენებათ, როგორც ხდება.მე იმ გოგონას სახელი არ მახსოვს, მაგრამ საოცარი მადლიერება გამოხატა,ესეც ხომ იშვიათობაა?

—სალომე გოგელიძე, ზვიად კვაჭანტირაძის თანაშემწე პარლამენტში.მეც ზუსტად იგივეს ვიტყოდი, ჩემს შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა.

—ქალბატონო ლიანა,თქვენ ბატონი ზვიადის ბავშვობა ახსენეთ.მე ამაზე უფრო ვრცლად სხვა დროს შეგეკითხებით,თუ შეიძლება ამჯერად მოკლედ მისი ბავშვობის შესახებ...

— ნინო, მე მასწავლებელი ვარ ის იყო არაჩვეულებრივი ბავშვი.მას თავიდანვე ემჩნეოდა, რომ დიდი კაცი გახდებოდა .მას ჰყავდა ძალიან ყურადღებიანი მშობლები და ის დროს უქმად არ კარგავდა. ცელქიც იყო,მაგრამ სულ მეცადინეობდა.იმდენად ნაკითხი იყო,მე ძალიან მიყვარს ბატონი ზვიადი, მაგრამ ამას მის მიმართ მარტო სიყვარული არ მალაპარაკებს .ეს არის სიმართლე, რომელსაც ვერსად გავექცევით და ის თვისებები, რაც მე ახლა ჩამოვთვალე, მეტი რა უნდა ჰქონდეს ადამიანს,ეგება თქვენ მითხრათ,მე შეიძლება ვცდებოდე.

ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლას ვუსურვებ ზვიად კვაჭანტირაძეს! მე ის პარლამენტში ჯდომისთვის არ მემეტება,მას მეტი ეკუთვნის,გაცილებით მეტი!

ოზურგეთის ნოდარ დუმბაძის სახელობის მეორე საჯარო სკოლა საქართველოში მეოთხე სასწავლო დაწესებულებაა, რომელთანაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმს ხელი მოაწერა: კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი ცაგარეიშვილმა ,მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ და მე-2 საჯარო სკოლის დირექტორმა მარინა ჯაფარიძემ.

,,სკოლებთან თანამშრომლობის ინიციატივა კომიტეტს ეკუთვნის და ჩვენი სურვილია მსგავსი შეთანხმებები საქართველოს ყველა რაიონის თუნდაც ერთ სკოლასთან იყოს გაფორმებული. მადლობას ვუხდი ბატონ ზვიად კვაჭანტირაძეს, რომ მისი ინიციატივით დღეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს ოზურგეთის სკოლასთან ვაფორმებთ''-განაცხადა შეხვედრის დასასრულს გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოზურგეთის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე

სამი დღეა მიმდინარეობს ოზურგეთის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჭადრაკში, რომელშიც წინა ტურნირებში გამარჯვებული 10 მოჭადრაკე იღებს მონაწილეობას.

3 ტურის შემდეგ დავით ცეცხლაძე დაწინაურდა. მას 3 ქულა აქვს. ელგუჯა ურუშაძეს, გივი სიამაშვილს, დავით კიღურაძეს და გიორგი გოგოლაურს 2-2 ქულა აქვთ.

როგორც გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ტურნირის სენსაცია იყო 10 წლის თორნიკე მახარაძის გამარჯვება ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ, გამოცდილ გიორგი გოგოლაურთან. თორნიკემ ამ გამარჯვებით ამ ტურნირზე პირველი ქულა ჩაიწერა.

ტურნირი 26 ოქტომბრამდე გასტანს და სამი გამარჯვებული მოჭადრაკე გურიის რეგიონალურ პირველობაზე იასპარეზებს. გურულ მოჭადრაკეთა უმაღლესი ფორუმი ნოემბრის თვეში გაიმართება.

ნიადაგის და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამზირა რუსიეშვილს სიძის, **ავთო პაპაშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იყიდება
2,5 ოთახიანი გარემონტებული ბინა მიწის ნაკვეთით.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის ქ.
ფასი შეთანხმებით.
ტელ. (593) 162 515 (მურმანი)

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru